

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

„აქსის თაუერს ჰოსფიტალითი“

სნ 405460923

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	947,822.08	1,197,583.84
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა		712,174.76	685,324.16
არამატერიალური აქტივები	10	1,999	2,374
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,661,995	1,885,282
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	11	15,389	48,121
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	74,663.57	46,176.36
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	1,015	104,823
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ მიმდინარე აქტივები		91,068	199,120
სულ აქტივები:		1,753,063	2,084,402
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,194,275	56,315
გაუნაწილებელი მოგება - ზარალი		-2,537,483	-1,300,148
სულ საკუთარი კაპიტალი		-1,343,208	-1,243,833
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	14	2,555,117	2,663,896
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,555,117	2,663,896
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	376,392.84	593,986.80
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ		2485.4	1122.96
საგადასახდო ვალდებულება		35970.08	26500.66
დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი			
დარიცხული სასესხო ვალდებულებები	15	126,305	42,728
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		541,154	664,338
სულ ვალდებულება:		3,096,271	3,328,234
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,753,063	2,084,401

დირექტორი

ალექსანდრე სამარგულიანი

მთ. ბუღალტერი

ირმა მარცვალაძე

თარიღი: 30.09.2024

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	5	1,305,185	765,305
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		464,266	387,180
საერთო მოგება		840,918	378,125
სხვა შემოსავლები	6		
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		-908,637	-732,549
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		-309,048	-147,849
სხვა ხარჯები	7	-453,968	-342,467
ფინანსური ხარჯები/შემოსავალი	8	-12,934	-23,155
საპროცენტო ხარჯი		-393,667	-333,241
მოგება დაბეგვრამდე		-1,237,335	-1,201,136
მოგების გადასახადი			
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		-1,237,335	-1,201,136
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		-1,237,335	-1,201,136

დირექტორი

ალექსანდრე სამარგულიანი

მთ. ბუღალტერი

ირმა მარცვალაძე

თარიღი: 30.09.2024

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი
31.12.2021 წაშთი	<u>250,200.00</u>	<u>-99,011.33</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-193,885.30	0.00
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	0.00	-1,201,136.45
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	0.00	0.00
31.12.2022 წაშთი	<u>56,314.70</u>	<u>-1,300,147.78</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	1,137,960.00	0
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	0	-1,237,335
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	0	0
31.12.2023 წაშთი	<u>1,194,274.70</u>	<u>-2,537,482.62</u>

დირექტორი

ალექსანდრე სამარგულიანი

მთ. ბუღალტერი

ირმა მარცვალაძე

თარიღი: 30.09.2024

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აქსის თაუერს ჰოსფიტალიტი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405460923) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ (რეგისტრაციის ნომერი B23088171). საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ.#49დ, #2-32. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #37 .

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის *მსს ფასს-ის* შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

3.3 სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.5 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება მოგება- ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.6 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.7 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

3.8 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

3.9 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან

დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლადი, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიაწინებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალოს უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

5	ამონაგები	31.12.2023	31.12.2022
	შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	1,305,184.66	765,304.68
	შემოსავალი მასალის რეალიზაცია		
	პირგასამტეხლოდან შემოსავალი		
		1,305,184.66	765,304.68
7	სხვა ხარჯი	31.12.2023	31.12.2022
	კომუნალური მომსახურება	-61,369.14	-31,353.46
	კომუნიკაციის ხარჯი	-9,632.66	-7,156.03
	იჯარა	-102,700.74	-66,183.33
	იჯარით აღებული ქონების მომსახურება	-23,113.29	-11,256.86
	აიტი მომსახურება	-15,276.51	-17,551.16
	რეკლამის ხარჯი	-40,504.40	-8,107.79
	ბანკის მომსახურება	-21,078.59	-12,084.95
	ქონების გადასახადი	-10,727.02	-5,987.91
	მოგების გადასახადი	-5,658.83	-3,401.97
	სხვა მიმდინარე ხარჯი	-163,906.39	-179,383.46
		-453,967.57	-342,466.92
8	ფინანსური ხარჯები/შემოსავალი	31.12.2023	31.12.2022
	დადებითი საკურსო სხვაობა		
	უარყოფითი საკურსო სხვაობა	-12,934	-23,155
		-12,933.60	-23,154.56
9	ძირითადი საშუალებები	31.12.2023	31.12.2022
	სამზარეულოს მოწყობილობა და ინვენტარი	405,690.65	500,769.15
	ოფისის აღჭურვილობა	30,495.77	38,150.63
	ავეჯი და სხვა ინვენტარი	511,635.66	658,664.06
		947,822.08	1,197,583.84
10	არამატერიალური აქტივები	31.12.2023	31.12.2022
	პროგრამული უზრუნველყოფა	1998.63	2373.63
		1,999	2,374

11	მარაგი	31.12.2023	31.12.2022
	ნედლეული და მასალა	15388.98	48120.83
		15,389	48,121
12	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2023	31.12.2022
	მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან	30,555	1,564
	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	44,108	44,612
	მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ		
		74,663.57	46,176.36
13	ფულადი სახსრები და ექვივალენტები	31.12.2023	31.12.2022
	ნაღდი ფული საღაროში	314.84	482.73
	ფული საბანკო ანგარიშზე	700.27	104,340.14
		1,015.11	104,822.87

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით.

14	სასესხო ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
	ბანკის სასესხო ვალდებულებება	1,993,317.45	2,663,896.34
	სხვა სასესხო ვალდებულებება	561800	
		2,555,117	2,663,896

15	დარიცხული სასესხო ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
	ბანკის სასესხო ვალდებულებებზე		
	გადასახდელი პროცენტი	126,305.28	42,727.57
		126,305.28	42,727.57

16	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
	მოწ. და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	376,392.84	593,986.80
	მიღებული ავანსები		
		376,392.84	593,986.80

17. მსს ფასს -ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური

ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 15 აგვისტოს.

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თარიღი: 30.09.2024

ალექსანდრე სამარგულიანი

ირმა მარცვალაძე